გათვალისწინებული „რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა“-ს ფარგლებში ფინანსური დახმარება გაიცა 11 ოჯახზე (25 ბავშვს). მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება ჩართულია პროექტში - ბავშვის უფლებათა კოდექსის 99-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, მთავრობის ადმინისტრაციისა და UNICEF -ის კოორდინირებული თანამშრომლობით შემუშავებულ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტში „ბავშვის უფლებათა კოდექსის საფუძველზე განსაზღვრული უწყებათაშორისო კოორდინაციის წესის დამტკიცების შესახებ“ რომლის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, უწყებათაშორისი სისტემის გამართული და კოორდინირებული ფუნქციონირება. ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებას პროექტის ფარგლებში განსახილველად წარდგენილი აქვს 8 მოქმედი შემთხვევის სახე, პროექტს უძღვება სოფიო კილაძე, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის წევრი. პროექტის ფარგლებში მოხდა წინა წლების შემთხვევის სახის მონიტორინგი. გადასინჯვი შედეგად ორ ქეისზე განისაზღვრა მეოთხე დონე ზიანის მწვავე რისკი რის საფუძველზე დაუყონებლივ გადამისამართდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის გურიის რეგიონალურ ცენტრში.

ასევე დამატებითი წერილობითი შეტყობინება (2022 წ. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადამსამართებული) გაიგზავნა სსიპ სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის გურიის რეგიონალურ ცენტრში ქუჩაში მყოფი არასრულწლოვანი ბავშვების შესახებ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 იანვრის N1 დადგენილებით ინიცირებულ უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, მრავალშვილიანი ოჯახების გასახლების მიზნობრივ პროგრამაში ჩართვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის. განცხადებების მიღება, მომზადებული დოკუმენტების გადაგზავნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოში გადაგზავნილია 55 ბენეფიციარის განცხადება. ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე 5 ბენეფიციარს წერილობითი უარი ეთქვა განცხადებების გადაზვანზე. ასევე იმ ოჯახებს რომელთა დაკმაყოფილების შესახებ მოუვიდათ თანხმობა სამინისტროდან აქედან 3 ოჯახს გაეწია დახმარება დამატებითი დოკუმენტების მოწესრიგება გადაგზავნაში.

ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციამ განყოფილებასთან თანამშრომლობის ფარგლებში 3000 (სამიათასი) ლარით ფინანსური დახმარება გაუწია 2023 წ. 8 სექტემბერს სტიქიით დაზარალებულ ბავშვიან ოჯახებს.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ მოახდინა შესაბამისი რეაგირება სხვადასხვა უწყებიდან და მოქალაქეებიდან შემოსულ 65 წერილ/განცხადებაზე.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ განახორციელა მონიტორინგი, კონსულტაცია და ადვოკატირება 25 ოჯახში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბავშვთა პროექტის „სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების“ ფარგლებში.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ჩართულობით ეკონომიურად მოწყვლად 14 ოჯახს სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გადაეცათ სასკოლო ნივთები.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს გურიის რეგიონალური ცენტრის წერილის საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ შეესწავლა ოჯახის საჭიროება სადაც რეინტეგრირებული იქნა სამი არასრულწლოვანი

(2 ბიჭი და 1 გოგო), რის შემდეგაც გაეწია ფინანსური დახმარება „მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში.

2022 წლის 17 თებერვლიდან საქართველოს მთავრობის N81 დადგენილების ფარგლებში ამოქმედდა საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია, სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობისა და სოციალური დაცვის/დახმარების უზრუნველყოფის გზით. ამ დადგენილების შესაბამისად განყოფილების თანამშრომლების მიერ პროგრამულად ატვირთული იქნა 2024 წლის ვაკანსიები, მომზადდა შესაბამისი რეესტრი ვაკანსიებზე დასანიშნი ბენეფიციარების შესახებ. ელექტრონულად გაუფორმდათ ხელშეკრულება 392 ბენეფიციარს, ამ დროისთვის ბენეფიციარებთან ფორმდება ხელშეკრულება მატერიალური სახით. ასევე პროგრამის ფარგლებში გასაცემი ინვენტარის რაოდენობის გადამოწმება და შესაბამისი რეესტრის მომზადება, ასევე ყოველთვიურად მიმდინარეობს დასაქმებული ბენეფიციარების მიერ შესრულებული სამუშაო ტაბელების ასახვა ელექტრონულ ბაზაში. ასევე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ორგანიზებით და სოფლის წარმომადგენლების ჩართულობით განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის, დასაქმების სააგენტოს წარმომადგენლებთან. ასევე განყოფილებამ მოამზადა შესაბამისი დოკუმენტაცია არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მსურველების დასაქმების მიზნით, ასევე დეკემბრის თვეში ამავე პროგრამის ფარგლებში 339 ბენეფიციარს პროგრამულად გაუგრძელდა ხელშეკრულებები.

03 01 დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას. დასუფთავების ღონისძიებები ხორციელდება ქალაქ ლანჩხუთის ქუჩებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებიდან. რომელსაც ემსახურება 34 მეეზოვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1050 ურნა, ყოველდღიური დასუფთავების შედეგად მუნიციპალიტეტიდან გადის 70 მ³ ნარჩენის გატანა ხორციელდება 12 ნაგავმზიდის მეშვეობით და 2 ერთეული სატვირთო (ნაგავმზიდი) ზარის პრინციპით კვირაში 2 ჯერ, ფოთის, სამტრედიის, ურეკის და ოზურგეთის (მერის) ნაგავსაყრეზე.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული სკვერების დაგვა-დასუფთავება. ქალაქისა და სოფლების აღჭურვა სანაგვე კონტეინერებით. ქალაქის ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან. განსაკუთრებული ინტენსივობით ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა საკურორტო სეზონის დროს. ნაგავსაყრელზე 2024 წლის მდგომარეობით შეტანილი იქნა 25200 კბ საყოფაცხოვრებო ნარჩენი, აღდგენილი იქნა 126 ცალი 1.1 კუბ.მ მოცულობის სანაგვე ურნა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ემსახურება 12 ერთეული ნაგავმზიდი და 2 ერთეული სატვირთო (ნაგავმზიდი) სატრანსპორტო საშუალება.

	დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფ ო ფონდები	საკუთარ ი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფ ო ფონდები	საკუთარ ი სახსრები	გეგმ ა სულ	სახელმწიფ ო ფონდები	საკუთარ ი სახსრები
0301	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2194700	2194700	10196	2161592	2161592	9715	98.5	98.5	95,3

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს -2194700 ლარს, საიდანაც გახარჯულია -2161592 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა 265900 ლარი, გახარჯულია - 265315 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 1059400 ლარი, გახარჯულია - 1055468 ლარი;
- მივლინების ხარჯი გეგმა - 3000 ლარი, გახარჯულია - 720 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით - 100490 ლარი, გახარჯულია - 97226 ლარი;
- რბილი ინვენტარი ხარჯი გეგმით - 21850 ლარი, გახარჯულია - 21846 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი გეგმით - 575 ლარი, გახარჯულია - 572 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით - 594905 ლარი, გახარჯულია - 576236 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 38580 ლარი, გახარჯულია - 38235 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ხარჯი გეგმით - 110000 ლარი, გახარჯულია - 105975 ლარი;

გამოცხადებულია ურნების ტენდერი მიმდინარე

საკუთარი სახსრების ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 10196 ლარს, საიდანაც გახარჯულია_ 9715 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა - 10196 ლარი, გახარჯულია - 9715 ლარი;

02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 75%. (დასახლებულ პუნქტში).

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;
- ქსელის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, შეკეთება.

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. გარე განათების განყოფილება ემსახურება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ სოფლის 347 მრიცხველის 8250 ერთეული სანათი მოწყობილობას, ხოლო ქალაქის ტერიტორიაზე 6750 სანათი მოწყობილობას. სამსახურის მიერ შეცვლილი იქნა დაზიანებული ელექტრო გადამცემი ხაზები. ქსელის ექსპლოატაციას ემსახურება ორი ერთეული ამწე კალათა.

	დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
0203001	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	291100	291100		266883	266883		91.7	91.7	

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 291100 ლარს, საიდანაც გახარჯულია 266883 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა - 24700 ლარი, გახარჯულია - 24690 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 84100 ლარი, გახარჯულია - 83996 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით - 106500 ლარი, გახარჯულია - 96979 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით - 20300 ლარი, გახარჯულია - 18988 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 55500 ლარი, გახარჯულია - 42230 ლარი;

03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მიერ საგაზაფხულო სამუშაოების ფარგლებში გასუფთავდა და კეთილმოეწყო როგორც ქალაქის, ისე მიმდებარე ტერიტორიები. გაიწმინდა სარეველა ბალახებისა და ეკალ-ბარდისაგან მრავალწლიანი ხე-მცენარეები, ხოლო მარადმწვანე ბუჩქები (ტუიები, ემანიუსები) გაისხლა და გაიკრიჭა. ქალაქის ტერიტორიაზე დაირგო უნიკალური მრავალწლიანი დეკორატიული მწვანე ნარგავები, ხოლო 8500 (რვაათასხუთასი) ერთწლიანი კულტურა. ქალაქის მთელ ტერიტორიაზე კირიანი ხსნარით შეეთეთრდა 500-ზე მეტი ხე.

სისტემატიურად ხდებოდა პარკებში არსებული მწვანე საფარისა და სხვადასხვა კულტურების რწყვა და მინერალური სასუქებით განოყიერება. ბილიკების გათავისუფლება სარეველა ბალახებისაგან

გარდა სათიბი აპარატისა ხდებოდა შხამ-ქიმიკატებით. ქალაქის მასშტაბით სპეციალურ დადგენილ ნორმებში ხორციელდება სანიტარულ გამოხშირვითი ჭრები.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისღელის, მაჩხვარეთის, ქალაქის (ატეკის), ორაგვის ღელის სასაფლაოების მოვლითი ღონისძიებები 10800 კვ/მეტრს ფართზე, დაზიანებული ღობის შეკეთება, შეღებვა;

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ქალაქ ლანჩხუთში სკვერებისა და პარკების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან. ასევე ხორციელდება სკვერებისა და პარკების შეწამვლითი და გაცეღვითი სამუშაოები.

	დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
0302	კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი	277100	277100		272666	272666		98.4	98.4	

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 277100 ლარს, საიდანაც გახარჯულია 272666 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა -39000 ლარი, გახარჯულია - 38967 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 202600 ლარი, გახარჯულია -200140 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით -19000 ლარი, გახარჯულია - 18689 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით -3500 ლარი, გახარჯულია - 2235 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 13000 ლარი, გახარჯულია - 12635 ლარი;

02 02 02 წყლის სისტემის ექსპლუატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) ახორციელებს 5600 კომლის წყალმომარაგებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელ წყლის მიწოდებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება:

- დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოები;
- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;
- დაზიანებული ტუმბოების შეკეთება.

ტექნიკური წყლის სისტემის ექსპლუატაციის განყოფილების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის გარდა 15 ადმინისტრაციულ ერთეულში ხდება მწყობრიდან გამოსული არსებული სისტემის

აღდგენა, რეაბილიტაცია, რაც შესაძლებელს ხდის მუნიციპალიტეტის სოფლები მომარაგებული იყოს ტექნიკური წყლით და მათ ჰქონდეთ 24 საათიანი წყალმომარაგება.

	დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფ ო ფონდები	საკუთარ ი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფ ო ფონდები	საკუთარ ი სახსრები	გეგმ ა სულ	სახელმწიფ ო ფონდები	საკუთარ ი სახსრები
0 2 0 2 0 2	ტექნიკური წყლის სისტემების ექსპლუატაც ია	18530 0	185300		17192 9	171929		92.8	92.8	

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს -185300 ლარს, საიდანაც გახარჯულია -171929 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა -22825 ლარი, გახარჯულია - 22825 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 78475 ლარი, გახარჯულია - 78471 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით - 6000 ლარი, გახარჯულია - 5108 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით -3500 ლარი, გახარჯულია - 1787 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 46500 ლარი, გახარჯულია - 39768 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ხარჯი გეგმით - 28000 ლარი, გახარჯულია - 23971 ლარი;

02 07 მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გადმოეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეძენილი 5 ავტობუსი მარკა ISUZU NOVOCITI BUS, რომლებიც იმომრავებს ლანჩხუთის სოფლების მიმართულებით: 2 ერთეული ეწერი-ქვიანი, 1 ერთეული ლანჩხუთი-აცანა- მამათი, 1 ერთეული ლანჩხუთი-ჩოჩხათი, 1 ერთეული ლანჩხუთი-გრიგოლეთი-წყალწმინდა.

მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლებთან დამაკავშირებელი კერძო ტრანსპორტი გადაადგილდება ლანჩხუთი-აკეთი, ლანჩხუთი-ჯურყვეთი-ნინოშვილი, ლანჩხუთი-სუფსა-ჩოჩხათი, ლანჩხუთი-არჩეული-მოედანის მიმართულებით.

5 ავტობუსის მგზავრთა გადაადგილების თანხას და სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება 20 საშტატო ერთეულს სახელფასო ფონდის დაფინანსებისთვის.

	დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფ ო ფონდები	საკუთარ ი სახსრებ ი	გეგმა სულ	სახელმწიფ ო ფონდები	საკუთარ ი სახსრებ ი	გეგმ ა სულ	სახელმწიფ ო ფონდები	საკუთარ ი სახსრებ ი
0 2 0 7	საქალაქთაშორი შო ტრანსპორტისა და მექანიზაციის განყოფილება	30750 0	307500	70000	23197 4	231974	12592	75. 4	75.4	18,0

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 307500 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 231974 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა - 19250 ლარი, გახარჯულია - 12360 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 89300 ლარი, გახარჯულია - 85296 ლარი;
- მივლინების ხარჯი გეგმა - 1000 ლარი, გახარჯულია - 570 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმა - 172950 ლარი, გახარჯულია - 114490 ლარი;
- სხვა ხარჯი გეგმა - 60000 ლარი, გახარჯულია - 0 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ხარჯი გეგმით - 19000 ლარი, გახარჯულია - 18958 ლარი

საკუთარი სახსრების ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 70000 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 12592 ლარი.

05010101 სპორტული ცენტრის ხელშეწყობა

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს 18 წლამდე მოზარდების ფსიქოლოგიური, სოციალურ ემოციური შესაძლებლობების განვითარებას, მოსწავლის ფიზიკური აქტივობის განვითარებას.

მოზარდისთვის სპორტი გარდა ჯანმრთელობისა არის მეგობრების შექმნის, თანატოლებთან ურთიერთობების, ჯგუფურ აქტივობებში ჩართვისა და საჯარო აღიარების მოპოვების შესაძლებლობა.

ახალგაზრდები, რომლებიც ჩართული არიან სპორტულ აქტივობებში არიან უფრო ჯანმრთელები, უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვთ, ისინი მეტად გახსნილები და აქტიურები არიან.

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სექციების მუშაობა სპორტის 10 სახეობის მიმართულებით: ქართულიჭიდაობა, ბ/რომაულიჭიდაობა, თავისუფალიჭიდაობა, კარატე, რაგბი, ჭადრაკი,

კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა და ატანვარჯიში, ასევე ფუნქციონირებს პარასპორტულ ისექცია,სადაც გაერთიანებულიარია შშმ ბავშვები.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება, სპორტის სახეობების მიხედვით მატერიალურ ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, ცენტრის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონერებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, სპორტული დარბაზების მოვლა-შენახვა, სპორტული ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო სივლეების და ჯილდოების შექმნა-დამზადება, სპორტული ინვენტარ-აღჭურვილობის შექმნა, სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა და სპორტული ღონისძიებების მოწყობის ხარჯები.

	დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფოფონდები	საკუთარისა ხსრები	სულ	სახელმწიფოფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფოფონდები	საკუთარი სახსრები
05010101	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	738.5	723.5	15.0	730.1	718.8	11.2	98.8	99.3	75.0%

ქვეპროგრამი ს ფარგლებში 2024 წლის გეგმა სულ შეადგენს 723 500 ლარს, საიდანაც გახარჯულია 718 846 ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება -გეგმით - 90 000 ლარი, გახარჯულია - 87 378 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება- გეგმით - 394 000 ლარი, გახარჯულია - 393784 ლარი;
- მივლინება გეგმით 22 800 ლარი, გახარჯულია 22 772 ლარი
- ოფისის ხარჯი გეგმით -39500 ლარი, გახარჯულია - 39 775 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი-1000, ფაქტიურად გახარჯულია 770 ლარი.
- რბილი ინვენტარის ხარჯი გეგმით 3100 ლარი , გახარჯულია 3085 ლარი.
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით 38000 ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 37780 ლარი.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაბა გეგმით -21500 ლარი, გახარჯულია - 21496 ლარი;
- მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული გეგმით 63600 ლარი, გახარჯულია - 62010 ლარი;
- არაფინანსური აქტივები -გეგმით- 50 000 ლარი, გახარჯულია -49996 ლარი.

- ქვეპროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობებმა 2024 წლის მანძილზე 74-ჯერ მიიღეს მონაწილეობა ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში, მათ შორის :
- ბ/რომაული ჭიდაობამ ქვეყნის მასშტაბით მოაწყო 19 გასვლა და მოიპოვა 3 ოქროს, 8 ვერცხლის და 19 ბრინჯაოს მედალი. გუნდი 2024 წლის დეკემბრის თვეში სასწავლო საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა წალკაში 10 დღით.
- თავისუფალი ჭიდაობის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ჭიდაობის ფედერაციის მიერ მოწყობილ 13 ღონისძიებაში, სადაც მოიპოვა 7 ოქრო, 10 ვერცხლის და 14 ბრინჯაოს მედალი.
- ქართული ჭიდაობის სპორტსმენებმა მარტის თვეში ადგილზე ჩაატარეს აფხაზეთის ომში დაღუპული ჯამბულათ ხოფერიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც მოწვეული იყვნენ ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლები, გამარჯვებულებს შევუძინეთ ჯილდოები (თასები და მედლები). ასევე ქონდათ ერთი გასვლა ქუთაისში, ჩვენმა სპორტსმენებმა სულ მოიპოვეს 4 ოქროს, 5 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი.
- რაგბის გუნდის სპორტსმენებმა ქვეყნის მასშტაბით 20-ჯერ მიიღეს მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებაში, ისინი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ბრინჯაოს ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. გუნდი იმყოფებოდა ერთკვირიან სასწავლო საწვრთნელ შეკრებაზე ქობულეთში.
- ჭადრაკის გუნდმა 2024 წელს წარმატებებით მიიღო მონაწილეობა ქვეყნის მასშტაბით გამართულ 10 ღონისძიებაში. სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა მოიპოვეს 17 ოქროს, 7 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.
- მაგიდის ჩოგბურთის გუნდმა მონაწილეობა მიიღო 5 ღონისძიებაში და მოიპოვა 1 ოქროს მედალი.
- კარატეს გუნდის სპორტსმენებმა 7 შეჯიბრში მიიღეს მონაწილეობა და მოიპოვეს 14 ოქროს, 2 ვერცხლის და 22 ბრინჯაოს მედალი.

სულ სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა 9 თვის მანძილზე მოიპოვა 22 ოქროს 21 ვერცხლის და 25 ბრინჯაოს მედალი.

საკუთარი სახსრების ანგარიშზე წლის დასაწყისისათვის ნაშთი იყო 159 ლარი. ხოლო სულ 2024 წლის მანძილზე შემოსავლამა შეადგინა 11 229 ლარი, ხოლო გახარჯულია 11247 ლარი. მათ შორის:

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება---6747 ლარი.

ოფისის ხარჯი -----1330 ლარი.

ტრანსპორტის დაქირავება- მომსახურება---920 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა-----2250 ლარი

ნაშთი 2025 წლის 1 იანვრისთვის ნაშთი იყო 141 ლარი.

04 01 -სკოლამდელი განათლება

ა(ა) ი კ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში უზრუნველყოს თითოეული ბავშვის მრავალმხრივი განვითარება თამაშზე დაფუძნებული და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით, სკოლამდელ დაწესებულებაში მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნა პერსონალის კომპეტენციების ამაღლებით და ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2024 წლისათვის 16 ტერიტორიულ ერთეულში ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, რომელშიც ირიცხება 750 აღსაზრდელი.

ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის წლის გეგმა შეადგენდა 4233046 (ოთხიმილიონორასოცდაცამეტათასორმოცდაექვსი) ლარს, საიდანაც გახარჯულია 4162898 (ოთხიმილიონასამოცდაორიათასრვაასოთხმოცდათვრამეტი)ლარი.

კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
0401	სკოლამდელი განათლება	4233046	4162898	98,5%

მათ შორის:

შრომის ანაზღაურება- გეგმით - 2647656 ლარი, გახარჯულია-2646096 ლარი

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება-გეგმით 202702 ლარი, გახარჯულია-202380 ლარი

მივლინება - გეგმით 6990 ლარი, გახარჯულია -6908 ლარი

ოფისის ხარჯი -გეგმით 669399 ლარი, გახარჯულია -630657 ლარი

რბილი ინვანტარი და უნიფორმა - გეგმით 32700 ლარი, გახარჯულია -32698 ლარი

კვების ხარჯი -გეგმით 320057 ლარი, გახარჯულია - 320057ლარი

ტრანსპორტის ხარჯი - გეგმით 70000 ლარი, გახარჯულია -44267 ლარი

სხვა დანარჩ.საქონელი და მომსახ.ხარჯი -გეგმით 60152 ლარი,გახარჯულია -60152 ლარი

სოც უზრუნველყოფის ხარჯი - გეგმით 15000 ლარი, გახარჯულია -11377ლარი

არაფინანსური აქტივები - გეგმით 202300 ლარი, გახარჯულია -202216 ლარი

საბავშვო ბაღებში დაინერგა 2024-2029 წლების სტრატეგიული გეგმა და 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

50 აღმზრდელს ჩაუტარდა აღმზრდელ-პედაგოგთა 66 საათიანი ტრენინგ-მოდული, რაშიც დაიხარჯა 19500 (ცხრამეტათასხუთასი) ლარი, ჩატარდა მასწავლებელთა სახლის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა სახის ტრენინგები(ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში,ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა -ტრენინგები და ქოუჩინგი, პოზიტიური მშობლობის პროგრამა).

სკოლამდელი დაწესებულებების კურიკულუმის შესაბამისად შეტანილი იქნა მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსები (საკანცელარიო რესურსები, წიგნები და განმავითარებელი რესურსები), რაშიც დაიხარჯა 84500 (ოთხმოცდაოთხათასხუთასი) ლარი.

2024 წლისათვის გამოცხადდა 24 ტენდერი და დაიდო ხელშეკრულებები თანხით 1140712 (ერთიმილიონასორმოციათასშვიდასთორმეტი) ლარი.

2024 წლისათვის აშენდა 5 ახალი საბავშვო ბაღი (ნიგვზიანის, ნინოშვილის, აკეთის, გულიანის და ღრმადელის) რეაბილიტაცია უკეთდება ჩიბათის, ეწრის, ჯურუყვეთის და შრომისუბნის ბაღებს.

ახლადაშენებული ბაღებისათვის შეძენილი იქნა ინვენტარი (საბავშვო ბაღის ავეჯი, სამზარეულოს ინვენტარი და ჭურჭელი) 228720 ლარის.

სტანდარტებთან შესაბამისობით შეიქმნა საბავშვო ბაღების 10 (ათი) დღიანი მენიუ-განწილვა **2 სეზონისთვის**, კერძოდ: დღიური რაციონის შემადგენელი კერძების ჩამონათვალი; კერძების მრავალფეროვნებისა და სეზონურობის (2 სეზონზე), ასევე იდენტური კერძების განმეორებებს შორის რეკომენდებული ინტერვალის (არანაკლებ ორი დღე); საქართველოს მთავრობის N487 დადგენილების მიხედვით დღიურად გასაცემი პროდუქტების, სასმელის, ლიმიტირებული და აკრძალული პროდუქტების/საკვების (მ. შ. საოჯახო პირობებში მომზადებული საკვები და საკვებდანამატები) გათვალისწინებით და რეკომენდებული დოზების/ნორმების დაცვით.

მენიუში გაწერილი იქნა:

- კერძების შემადგენელი პროდუქტების, მზა კერძებისა და სასმელის რაოდენობები (ბრუტო და ნეტო მაჩვენებელი) და დღიური ენერგეტიკული ღირებულების შესაბამისობა და მისი პროცენტული გადანაწილება თითოეულ კვებაზე კვების ჯერადობის მიხედვით 9 საათიანი დაყოვნებისთვის გათვალისწინებული ჯერადობის მიხედვით (საუზმე (დღიური კალორიაჟის 20%), დილის წახემსება (10%), სადილი (30%), სამხარი (15%);

- დღიური რაციონის ნუტრიენტული (ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი) შემცველობა;
- პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით.

ასევე დოკუმენტაციის შემუშავება:

1. მენიუს უზრუნველყოფის ბრძანების შესაბამისი ფორმა;

2. სტანდარტული საოპერაციო პროცედურები -

- ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები;

• მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვისთვის შემოტანილი საკვების გამოყენების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები;

• ბავშვისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა;

3. სტანდარტული საოპერაციო პროცედურა: „პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლის პროცედურები“;

4. ინსტრუქცია: საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები;

5. ბავშვთა კვების პროცესის ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების პროცედურები. აღნიშნული მენიუს დასაწერად დაიდო ხელშეკრულება ნუტრიციოლოგთან (ი/მ „ქეთევან დადიანი“) 4000 (ოთხათასი) ლარზე.

სტანდარტებთან შესაბამისობაში, ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმ ბაღებში, რომლებიც გადიან ავტორიზაციას, შეყვანილი იქნა ინტენეტი, დაიდგა კომპიუტერები.

ბაღებში ყოველთვიურად ხდება დეზინფექცია-დერატიზაციის სამუშაოების ჩატარება. გვემსახურება ა(ა)ი.პ. ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელთანაც გაფორმებული იყო ხელშეკრულება 7986 (შვიდიათასცხრასოთხმოდეათქვსი) ლარზე.

წელიწადში ორჯერ ბაღებში მოწმდება წყალი ლაბორატორიულად, რაშიც 2024 წელს დაიხარჯა 6270 (ექვსიათასორასსამოცდაათი) ლარი.

05 01 01 05 ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ახორციელებს მოზარდების ჩართულობას ფეხბურთში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და მუნიციპალიტეტის წარმოჩენას ფეხბურთში ქვეყნის მასშტაბით. სკოლა შეუფერხებლად და უფასოდ იღებს ნებისმიერ მსურველ მოზარდს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში, სადაც უტარდებათ რეგულარული ვარჯიშები.

დღეის მდგომარეობით საფეხბურთო სკოლას ყავს 9 ასაკობრივი გუნდი ვაჟებში და ერთი გოგონათა გუნდი, სულ 220 მოზარდი. სკოლაში დასაქმებულია 47 ადამიანი, აქედან უშუალოდ სპორტსმენებთან დასაქმებულია 23 მწვრთნელი, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 24.

ხუთი ასაკობრივი გუნდი U-10, U-11, U-13, U14, U-15 მონაწილეობას იღებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ გათამაშებაში, სადაც ფეხბურთელებს ჩატარებული აქვთ 110 თამაში.

ასევე U-10 ასაკობრივ გუნდმა მონაწილეობა მიიღო ბ.პატარკაციშვილის სახელობის ფესტივალში.

მოზარდებს ათივე ასაკობრივ ჯგუფში რეგულარულად უტარდებათ ვარჯიშები კვირაში 3-4 ჯერ გეგმის მიხედვით.

ათ. ლარი

	დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
05010105	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	545.7	487.7	58	545.62	487.62	58	99.99%	99.99%	100%

ქვეპროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 390080 ლარს, საიდანაც გახარჯულია 344205 ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება_ გეგმა-76900 ლარი, გახარჯულია- 76824 ლარი;
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება_ გეგმა-308775 ლარი, გახარჯულია- 308775 ლარი;
- მივლინება_ გეგმა-6470 ლარი, გახარჯულია- 6470 ლარი;
- ოფისის ხარჯი_ გეგმა-21824 ლარი, გახარჯულია-21824 ლარი;
- კვების ხარჯი_ გეგმა-7225 ლარი, გახარჯულია-7225 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი_ გეგმა-528 ლარი, გახარჯულია-528 ლარი;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი_გეგმა-16204 ლარი, გახარჯულია-16200 ლარი;
- ტრანსპორტის და საწვავის ხარჯი_გეგმა-16204 ლარი, გახარჯულია-16204 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება_გეგმა-28670 ლარი, გახარჯულია-28670 ლარი;
- არაფინანსური აქტივები_გეგმა-4900 ლარი, გახარჯულია-4900 ლარი.

05 02 01 01 - კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლის, 4 მუნიციპალური მუზეუმის, 18 ბიბლიოთეკის და ეგ.ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრის ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობას.

	დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
05020101	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების	1440900	1409400	31500	1409607	1389842	19765	97,8	98,6	62,8

	ხელშეწყობა									
--	------------	--	--	--	--	--	--	--	--	--

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: კალანდობის დღესასწაული გურიაში, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, აღდგომის დღესასწაულზე სახალხო თამაშობა „ლელობურთი“, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გაიმართა სპექტაკლ „ჩარლის დეიდა“ პრემიერა, გამოსაშვები „სადამო“ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის, ბავშვთა თეატრალურმა დასმა „ლორენტი ხავერდზე“ წარმოადგინა კომპოზიცია „სიყვარულის მოზაიკა“, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გაიმართა მუნიციპალიტეტის სკოლების წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოების ცერემონია, გაიმართა „ლანჩხუთობის“ დღესასწაული „თბილისობის“ დღესასწაულზე ეთნოგრაფის მუზეუმის ეზოში მოეწყო სამუზეუმო გამოფენა „გურული კუთხე“, აღინიშნა დამსახურებული ქორეოგრაფის გიგა ხუხუნიაშვილის იუბილე, გაიმართა საახალწლო ღონისძიება. შედგა სპექტაკლის პრემიერა „ჩარლის დეიდა“, დაიდგა თეატრალური კომპოზიცია პატრიოტულ თემაზე „როგორ გაგამთელო ჩემო საქართველო“, მუზეუმებში გაიმართა მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული შემოქმედებითი საღამოები. კულტურის ცენტრთან არსებული საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ გაემგზავრა საზღვარგარეთ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისათვის. თანამედროვე ცეკვების შემსწავლელი ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღო ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში. ბავშვთა საესტრადო და ფოლკლორული სიმღერების ანსამბლები და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა გაიმარჯვეს ბავშვთა და ახალგაზრდულ მე-8 ეროვნულ კონკურსში. ხალხური ცეკვების შემსწავლელ ქორეოგრაფიულ წრეებში ჩართულია 126 მოსწავლე, აქედან გოგო-84, ბიჭი-42. თანამედროვე ცეკვების შემსწავლელ წრეში მონაწილეობს 24 ბავშვი, აქედან გოგო-24. საესტრადო სიმღერების შემსწავლელ წრეში მონაწილეობს 67 მოსწავლე, აქედან გოგო-56, ბიჭი-11. გობელენისა და ხატვის შემსწავლელ წრეში გაერთიანებულია 28 ბავშვი. აქედან გოგო-21, ბიჭი-7. ხალხური სიმღერების შემსწავლელ წრეში ჩართულია 37 ბავშვი, აქედან გოგო-13, ბიჭი-24. სხვადასხვა დასაკრავი ინსტრუმენტების შემსწავლელ წრეებში მონაწილეობს 11 ბავშვი, აქედან გოგო-3, ბიჭი-8. სულ სხვადასხვა წრეში გაერთიანებულია 293 მოსწავლე, აქედან გოგო-201, ბიჭი-92.

მუზეუმებისათვის 2024 წელს შეძენილი იქნა 175 ლარის ღირებულების ექსპონატი. აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა მოძველებულ და დაზიანებულ ექსპონატებს.

ბიბლიოთეკაში 2024 წელს ჩატარდა კაპიტალური რემონტი 99110 ლარის ღირებულების. შეძენილი და ნაწილობრივ განახლებული იქნა მატერიალური ბაზა.

ქვეპროგრამის ფარგლებში გახარჯული 1409607 ლარი.

- შრომის ანაზღაურება: გეგმა-451250 ლარი, ფაქტი-439600 ლარი.
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება: გეგმა-519530, ფაქტი-516611 ლარი.
- მივლინების ხარჯი: გეგმა-15500 ლარი, ფაქტი-13631 ლარი.
- ოფისის ხარჯი: გეგმა-100000 ლარი, ფაქტი-99284 ლარი.
- წარმომადგენლობითი ხარჯი: გეგმა-36000 ლარი, ფაქტი-35255 ლარი.
- რბილი ინვენტარი და უნიფორმა: გეგმა-20000 ლარი, ფაქტი-16056 ლარი.
- ტრანსპორტის ხარჯი: გეგმა-18000 ლარი, ფაქტი-17990 ლარი.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება: გეგმა-167443 ლარი, ფაქტი-158114 ლარი.
- სამედიცინო ხარჯები: გეგმა-127 ლარი; ფაქტი-127 ლარი.
- სოც. უზრუნველყოფის ხარჯები: გეგმა 2050, ფაქტი-2042 ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა; გეგმა-111000 ლარი, ფაქტი-110897 ლარი.

აქედან საკუთარი სახსრებით გახარჯულია 19765 ლარი

- შრომის ანაზღაურება: გეგმა-1000 ლარი, ფაქტი-0
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება: გეგმა-15000, ფაქტი-8810 ლარი.
- მივლინების ხარჯი: გეგმა-500 ლარი, ფაქტი-0
- ოფისის ხარჯი: გეგმა-4500 ლარი, ფაქტი-2290 ლარი.
- ტრანსპორტის ხარჯი: გეგმა-3000 ლარი, ფაქტი-2870 ლარი.
- სხვა დანარჩენი: გეგმა-5000 ლარი; ფაქტი-5000 ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა; გეგმა-2500 ლარი, ფაქტი-795 ლარი.

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს კულტურის დაწესებულებების განვითარებასა და პოპულარიზაციას, მოზარდი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და მათ მაქსიმალურ მონაწილეობას მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში, ჩართულობას როგორც ფოლკლორულ ანსამბლებში, ისე საესტრადო წრეებში, თეატრალურ და ხელოვნების სხვა დარგებში.</p> <p>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 მუზეუმი, 4 კულტურის სახლი, 18 ბიბლიოთეკა, ეგ. ნინოშვილის სახ. სახალხო თეატრი.</p> <p>კულტურის სახლებში გაერთიანებულია ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 201 აღსაზრდელი. ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის წრეებში ჩართულია 162 აღსაზრდელი.</p> <p>მუნიციპალურ მუზეუმებში განთავსებულია 19000-მდე ექსპონატი. სადაც ვიზიტორთა რაოდენობამ წლის განმავლობაში შეადგინა 500-მდე ვიზიტორი.</p> <p>18 მოქმედ ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი შეადგენს 112000 ერთეულს. მისი მომსახურებით ისარგებლა მუნიციპალიტეტის 1000-მდე მოქალაქემ.</p> <p>ფუნქციონირებს ეგ. ნინოშვილის სახ. სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თატრი. 2024 წელს თეტრში დაიდგა ერთი ახალი სპექტაკლი. განახლდა ერთი საბავშვო სპექტაკლი. შეიქმნა ერთი ახალი თეატრალური კომპოზიცია.</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება; მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყოფილება ჩატარებული კულტურული ღონისძიებებით</p>
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<p>მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>		

#	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილები ს მაჩვენებელი	განმარტება
1	მაყურებელთა რაოდენობა თეატრალურ წარმოდგენებზე	1000	1000	1500		მატება გამოწვეულია ახალი სპექტაკლის პრემიერით
2	თეატრების მიერ დადგმული სპექტაკლების რაოდენობა	2	2	3		
3	კულტურის სახლების ბენეფიციარი ბავშვების რაოდენობა	220	220	220		
4	მუზეუმებისა და ბიბლიოთეკებით მოსარგებლე მოსახლების რაოდენობა	1000	1000	1000		

05 02 01 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება არის შემოქმედებითი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში შემავალი სკოლების მოსწავლეებისათვის ეროვნული, კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა და შეყვარება, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ფასიანი საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, სხვადასხვა გამოფენებში როგორც საქართველოში, ისევე საზღვარგარეთ.

	დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმ წიფო ფონდე ბი	საკუთ არი სახსრ ები	გეგმა სულ	სახელმ წიფო ფონდე ბი	საკუ თარი სახს რები	გეგმა სულ	სახელ მწიფო ფონდ ები	საკუ თარი სახს რები
05020102	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	578325	540900	37425	578002	540622	37380	99,9	99,9	99,8

ქვეპროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მ.ორაგველიძის სახელობის სამუსიკო, სუფსის სამუსიკო და ლანჩხუთის ვ. ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალურ ღონისძიებებში: საშობაო, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ, პედაგოგ მხატვართა I ციფრული გამოფენა, დედაენის დღისადმი, სახალხო დღესასწაული „ლელო“, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი, მასწავლებელთა დღისადმი, სახალხო დღესასწაული „ლანჩხუთობა“, „წელიწადის დროები“ პლენერზე ხატვა, შემოდგომის ფერები ეგნატე ნინოშვილის მემორიალურ მუზეუმში, მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ საახალწლო კარნავალში, კალანდა გურიაში“. პარალელურად მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კონკურსებსა და კონკურს-ფესტივალებში: ხელოვნების მე-17 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“, კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი, ქართული მუსიკის მე-8 ეროვნული კონკურსი, დასავლეთ საქართველოს საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „სენაკი არტ-ფესტივალი-2024“, კ.ჩერნის სახელობის II რესპუბლიკური კონკურსი, ბადრი პატარკაციშვილის სახელობის ქართული ფოლკლორული ხელოვნებისა და სპორტული სანახაობრივი ღონისძიება აღნიშნულ კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა მიიღო -144 მოსწავლემ ლაურეატის წოდება მიენიჭა -37 მოსწავლეს საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა -71 მოსწავლე საპატიო სიგელი - 36 მოსწავლე

ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წელს სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება დაფინანსდა - 540900 ლარით, აქედან -

- შრომის ანაზღაურება - გეგმით - 455180 ლარი, გახარჯულია - 455178 ლარი
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - გეგმით - 35760 ლარი, გახარჯულია - 35495 ლარი
- ოფისის ხარჯი - გეგმით - 22615 ლარი, გახარჯულია - 22604 ლარი
- წარმომადგენლობითი ხარჯი - გეგმით - 1875 ლარი, გახარჯულია - 1875 ლარი
- სხვა ხარჯი - გეგმით - 2100 ლარი, გახარჯულია - 2100 ლარი
- სხვა დანარჩენი საქ. და მომსახურება გეგმით - 10870 ლარი, გახარჯულია - 10870 ლარი
- არაფინანსური აქტივები - გეგმით - 12500 ლარი, გახარჯულია - 12500 ლარი

2024 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის სახით გვექონდა - 8380 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში მშობელთა შემონატანის 2024 წლის გეგმა შეადგენს - 37425 ლარს, შემოსულია - 37380 ლარი. აქედან გახარჯულია -

- შრომითი ანაზღაურება გეგმით - 2000 ლარი; გახარჯულია - 0 ლარი
- მივლინება გეგმით - 190 ლარი, გახარჯულია - 186 ლარი
- ოფისის ხარჯი გეგმით - 18390 ლარი; გახარჯულია - 18399 ლარი
- წარმომადგენლობითი ხარჯი გეგმით - 6460 ლარი, გახარჯულია - 5080 ლარი
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით - 4930 ლარი, გახარჯულია - 4550 ლარი
- სხვა დანარჩენი საქ. და მომსა. გეგმით - 1370 ლარი, გახარჯულია - 1363 ლარი
- რბილი ინვენტარის ხარჯი გეგმით - 4085 ლარი, გახარჯულია - 4080 ლარი

- არაფინანსური აქტივები გეგმით - 8380ლარი, გახარჯულია - 7755 ლარი

ანგარიშზე ნაშთის სახით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩა - 4347 ლარი

შპს. „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2024 წლის გაწეული მუშაობის ანგარიში

შპს. „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“-ს მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, 2024 წლის მანძილზე აქტიურ მუშაობას ეწეოდა როგორც ტურიზმის ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით. მიმდინარეობდა სხვადასხვა საქმიანი შეხვედრები, ლედ ჯორჯიას (**LAD GEORGIA**) დაგეგმილ ღონისძიებაში. ასევე გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში, „ბლექსი არენას“ წარმომადგენლებთან, GIZ-ის ოფისში თბილისში, ეკოტურიზმის წარმომადგენლებთან, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში. აქტიური შეხვედრები კოლხეთის დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.

სამუშაო შეხვედრები „ქამალა პროდაქშენ“ - თან, დოკუმენტურ ფილმზე ლანჩხუთის შესახებ. სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ტრენინგებში. მოწვეო შეხვედრა ევროპის გიდების წარმომადგენელ ლინდა ჟაბოსთან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფო - ტურის ჩატარების თაობაზე. აქტიურად მუშაობდა ლანჩხუთის ტურისტული გზამკვლევის შესახებ. ტურიზმის განყოფილების მიერ ჩატარდა კვლევა სანიტარულ კვანძებთან დაკავშირებით. 2024 წლის მანძილზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდა, როგორც ორგანიზაციულ ასევე, ადგილობრივი მეწარმეების ჩართულობის კუთხით. (ტრადიციული „ლელო“, 26 მაისი, 28 მაისი, დამამთავრებელი კლასის გამოსაშვები ღონისძიება, 1 ივნისი. „ლანჩხუთობა“). ცენტრის მიერ შემუშავდა პროექტი „მუნიციპალური პლაჟის მოწყობა“. ტურისტული ბანერების განახლება, ახალი ბანერის დამატება ქალაქის ტერიტორიაზე და მათი მონტაჟი. მონაწილეობდა სხვადასხვა ფესტივალებზე. მიიღო მონაწილეობა ტურისტული ობიექტების მონიტორინგში **GIZ** წარმომადგენლებთან და ექსპერტთან ერთად. ცენტრმა გაუწია მონიტორინგი და შეასრულა „საქუხიას კანიონზე“ ჩასასვლელი კიბის აღდგენითი სამუშაო. ორაგვე-აცანის საფეხმავლო ტურისტული ბილიკების მოწყობის საპროექტო წინადადების წარმდგენი საინიციატივო ჯგუფისთვის რეკომენდაცია გაიცა და გაეწია ტექნიკური დახმარება. სამუშაო ჯგუფის მიერ ტურისტული ობიექტების ადვილად მისაწვდომობის მიზნით განახორციელდა საგზაო ნიშნულების პროექტირება და მათი განთავსება. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან შეთანხმებით შემუშავდა სამუშაო გეგმის ნახაზი, მუნიციპალიტეტში სრული ტურისტული პოტენციალის გამოკვლევისთვის. ცენტრის წარმომადგენელი იმყოფებოდა სამუშაო ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკაში, პოლონეთის რესპუბლიკის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს პროექტის „საქართველოს საჯარო ადმინისტრაციის განვითარება და

მეწარმეობის მხარდაჭერა.“ ტურიზმის განვითარების და ხელშეწყობისთვის ტრენინგების მომზადების შესახებ კონსულტაციები, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსთან მედია ჯანიაშვილთან.

სოფლის მეურნეობის განყოფილება აქტიურად მართავდა შეხვედრებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების giz -ის ერთობლივ ინიცირებულ „სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების“ საგრანტე პროგრამის გამარჯვებულებთან მონიტორინგის მიზნით. აღნიშნულ საგრანტე პროგრამის განხორციელებაში სოფლის მეურნეობის განყოფილება აქტიურად ეხმარებოდა მეწარმეებს, როგორც კონსულტაციების სახით ასევე პროექტებსა და ბიზნეს გეგმების მომზადებაში. განყოფილება დაესწრო საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდით ჩატარებულ ტრენინგს, რომელიც ეხებოდა ნატოსა და ევროკავშირის საქართველოსთან თანამშრომლობას. სოფლის მეურნეობის განყოფილებამ მოიძია ინფორმაცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული სახნავ - სათესი და მცირე გაბარიტიანი ტექნიკის რაოდენობის შესახებ. (სახნავ - სათესი სულ: 83 ერთეული. მცირე გაბარიტიანი სულ: 91 ერთეული) განყოფილებამ გამართა შეხვედრა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ცენტრის LED Georgia -ს წარმომადგენლებთან, მცირე და საშუალო მეწამეებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, შეხვედრაზე საუბარი იყო გურიაში არსებული ეკონომიკური განვითარების გამოწვევებზე და შესაძლებლობებზე. განყოფილება ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ ინიცირებულ ტრენინგს, რომელის მიზანია მერძევეობისა და მეფუტკრეობის ხელშეწყობა და დარგის ფერმერების ძირითადი მწარმოებლების, სურსათის და სხვა ბიზნესოპერატორების პრაქტიკული უნარ-ჩვევებით ცოდნითა და გაძლიერებული შესაძლებლობებით აღჭურვა, რათა გააუმჯობესოს მათი საქმიანობა სურსათის უვნებლობისა და სანიტარულ--ფიტოსანიტარულ ნორმებთან მიმართებაში. გრძელდება გასვლითი შეხვედრები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში, შეხვედრების მიზანია ახალი და არსებული მეწარმეების ხელშეწყობა და სხვადასხვა საგრანტე თუ სახელმწიფო პროგრამებში პროექტებისა და ბიზნეს გეგმების მომზადებაში დახმარება. სოფლის მეურნეობის განყოფილება კონსულტაციას უწევს ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც აპირებს ახალი თუ არსებული ბიზნესის საქმიანობის წამოწყება გაფართოებას. 2024 წლის მანძილზე სამსახური უწევდა მონიტორინგს თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამას, სადაც დღეის მდგომარეობით დახმარება გაეწია 5300 ბენეფიციარს. რაც შეადგენს თხილის პლანტაციის 2400 ჰა-ს. სამსახური უწევდა მონიტორინგს აგრეთვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ხვნა- თესვის მიმდინარეობას.

**ბაზა
ხვნა -თესვის მიმდინარეობის შესახებ 2024 წ.**

ადმინისტრაციული ერთეული	სახნავ სათესი სავარგულების რაოდენობა ჰა	დამუშავდა	დაითესა	შენიშვნა
-------------------------	---	-----------	---------	----------

1	სუფსა	2000 ჰა	0	0	
2	შუხუთი	180 ჰა	20 ჰა	0	
3	მაჩხვარეთი	149 ჰა	0	0	
4	ჩოჩხათი	150 ჰა	10 ჰა	0	
5	ღრმაღელე	400 ჰა	50 ჰა	0	
6	გვიმბალაური	360 ჰა	10 ჰა	0	
7	აკეთი	212 ჰა	0	0	
8	მამათი	106 ჰა	5 ჰა	0	
9	ნიგოთი	700 ჰა	200 ჰა	10 ჰა	
10	ლესა	350 ჰა	50 ჰა	15 ჰა	
11	ჯურყვეთი	400 ჰა	39 ჰა	2 ჰა	
12	ნინოშვილი	40 ჰა	3 ჰა	0	
13	ჩიბათი	400 ჰა	20 ჰა	0	
14	ნიგზიანი	600 ჰა	50 ჰა	0	
15	აცანა	80 ჰა	20 ჰა	0	
16	ქალაქი	450 ჰა	40 ჰა	0	

სოფლის მეურნეობის განყოფილება ასევე აქტიურად იყო ჩართული აზიური ფარასონასთან ბრძოლის პროგრამაში და ყოველ დღიურად ახდენდა მონიტორინგს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ და აღრიცხავდა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გაწეულ სამუშაოებს.

ადმინისტრაციული ერთეული	ფერომონი	წერტილოვანი შეწამვლა	თერმული	ტრაქტორებით შეწამვლა	რიცხვი: წერტილოვანი შეწამვლა
acana	30 ცალი	3		ქალაქი: 3	25.06
აკეთი	50 ცალი	2		შუხუთი: 3	25.06
მამათი	30 ცალი	2		ნიგოთი: 3	25.06
ნიგოთი	60 ცალი	1	4.06	გვიმბალაური: 3	
შუხუთი	30 ცალი	2	8.06	ჩიბათი: 3	
ქალაქი	50 ცალი	3		ლესა: 3	28.06
მაჩხვარეთი	20 ცალი	2		ნიგზიანი: 3	25.06
გვიმბალაური	30 ცალი	2		სუფსა: 3	25.06
ჩიბათი	40 ცალი	2	28.06	ღრმაღელე: 3	28.06
ლესა	30 ცალი	2	23.06		28.06
ჯურყვეთი	40 ცალი	2	8.06		29.06
ნინოშვილი	20 ცალი	2	4.06		28.06
ჩოჩხათი	70 ცალი	2	30.05		25.06

ნიგზვიანი	50 ცალი	2	28.06		
სუფსა	60 ცალი	1			23.06
ღრმაღლე	50 ცალი	2			29.06

2024 წლის ცენტრის ბიუჯეტი წარმოადგენდა 228976 ლარს (მ.შ წინა წლის ნაშთი 21676ლარი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება 207300ლარი), ცენტრში შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენდა 14 ადამიანს, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 3 ადამიანს. სულ 2024 წლის ხარჯებმა შეადგინა 199771 ლარი. მ.შ.:

1. შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 120439ლარი.
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება- 24934ლარი.
3. მივლინების ხარჯი (როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ)- 1865 ლარი.
4. ოფისის ხარჯი- 29980ლარი.
5. წარმომადგენლობითი ხარჯი- 760 ლარი.
6. ტრანსპორტის ხარჯი (ტრანსპორტის დაქირავება)- 4446ლარი.
7. სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯი - 7690ლარი.
8. სხვა ხარჯი -165 ლარი.
9. არაფინანსური აქტივის შექმნა- 9492 ლარი.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 29205ლარს.